

საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო

## უნივერსიტეტი



პროფესიული განათლების ცენტრის

### დებულება

განხილულია აკადემიური საბჭოს სხდომაზე:

ოქმი N6                      30.11.2016

დამტკიცებულია წარმომადგენლობით საბჭოზე:

ოქმი N9                      16.12.2016

წარმომადგენლობითი საბჭოს თავმჯდომარე :

თელავი

2016



/მ. ღარიბაშვილი/

## მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში – უნივერსიტეტი) „პროფესიული განათლების ცენტრი“ (შემდგომში-ცენტრი) წარმოადგენს უნივერსიტეტის დამოუკიდებელ სტრუქტურულ ერთეულს;
2. ცენტრი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით, უნივერსიტეტის წესდებითა და წინამდებარე დებულებით.

## მუხლი 2. ცენტრის მიზნები და ამოცანები

1. პროფესიული განათლების მიმართულებით უნივერსიტეტში პროფესიული პროგრამების დანერგვა, განვითარება და შიდა მონიტორინგი;
2. უნივერსიტეტში პროფესიული განათლების მიმართულებით სასწავლო პროცესის შეფასება და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება;
3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და სასწავლო პროცესის გამართულად მუშაობის უზრუნველყოფა და ხარისხის ამაღლება;
4. სწავლის, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდებისა და სტანდარტების დანერგვა პროფესიული პროგრამების განხორციელებაში.

## მუხლი 3. ცენტრის ფუნქციები

1. საქართველოს კანონმდებლობის თანახმად შესაბამისობაში მოიყვანოს ცენტრის საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტები;
2. პროფესიული პროგრამების ხელმძღვანელებთან ერთად შეიმუშაოს და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს წარუდგინოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები;
3. საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში პროფესიულ მასწავლებლებს მიაწოდოს ინფორმაცია პროფესიულ განათლებაში არსებული სიახლეების შესახებ;
4. აწარმოოს სასწავლო პროცესის ხარისხიანად მიმდინარეობისა და პერსონალის ეფექტიანად მუშაობის მონიტორინგი და შეიმუშაოს შესაბამისი რეკომენდაციები;
5. შეიმუშაოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და პროფესიული მასწავლებლების მუშაობის შეფასების სისტემა;



6. პროფესიული პროგრამის სტუდენტებისათვის სწავლის შედეგების დადასტურების საფუძველზე, შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭების მიზნით, დასამტკიცებლად წარუდგენს რექტორს საატესტაციო კომისიის წევრების კანდიდატურებს;

7. ცენტრი თავისი კომპეტენციის ფარგლებში ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის აკადემიურ და წარმომადგენლობით საბჭოებთან და უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან.

#### მუხლი 4. ცენტრის სტრუქტურა და ხელმძღვანელობა

1. ცენტრი არის უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეული, რომლის შემადგენლობაში შედიან: ცენტრის ხელმძღვანელი, ცენტრის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი და მდივანი.

##### 1.1. ცენტრის ხელმძღვანელი:

- წარმართავს ცენტრის საქმიანობას უნივერსიტეტის წესდებისა და სამსახურის დებულების შესაბამისად;
- ახორციელებს ცენტრის საქმიანობის კოორდინაციას;
- ანაწილებს მოვალეობებს ცენტრის თანამშრომლებს შორის;
- უნივერსიტეტის რექტორს დასამტკიცებლად წარუდგენს შიდა მხარდამჭერი ჯგუფის წევრთა კანდიდატურებს;
- წარდგინებით მიმართავს უნივერსიტეტის რექტორს პროფესიული მასწავლებლების მოწვევის შესახებ;
- აწარმოებს პროფესიულ სტუდენტთა რეესტრს;
- წარმოადგენს ცენტრს უნივერსიტეტის მართვის ორგანოებთან და საგანმანათლებლო ერთეულებთან;
- ვალდებულია საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოიყვანოს ცენტრის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტები;
- ვალდებულია პროფესიულ მასწავლებლებს მიაწოდოს ინფორმაცია პროფესიული განათლების მიმართულებით არსებული სიახლეების შესახებ;
- საქართველოს კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის წესდების შესაბამისად, დაკისრებული ფუნქციებისა და ამოცანების შესრულების მიზნით, ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში.

1.1.1. ცენტრის ხელმძღვანელს ნიშნავს უნივერსიტეტის რექტორი ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან შეთანხმებით.



## 1.2. ცენტრის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი:

- მონიტორინგს უწევს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, ფორმირებისა და განხორციელების პროცესს და კანონმდებლობიდან გამომდინარე, სათანადო მითითებებს აძლევს პროფესიული პროგრამების ხელმძღვანელებს;
- წარმართავს პროფესიული განათლების მიმართულებით სასწავლო პროცესის შეფასებას და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებას;
- რეგულარულად აკონტროლებს პროფესიულ მასწავლებლებთან კალენდარული გეგმებისა და შეფასების ინსტრუმენტების შექმნის პროცესს;
- უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების მექანიზმების შემუშავებასა და მონიტორინგს;
- ანგარიშვალდებულია ცენტრის ხელმძღვანელისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წინაშე.

## 1.3. ცენტრის მდივანი:

- უზრუნველყოფს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტთა პირადი საქმეებისა და სხვადასხვა დოკუმენტების მოწესრიგებას;
- უზრუნველყოფს საგამოცდო უწყისების მომზადებას, დანომვრასა და გამომცდელი პედაგოგისათვის ხელმოწერით გადაცემას;
- ამზადებს სტუდენტთა პირად საქმეებს და გადასცემს არქივს;
- ვალდებულია აკონტროლოს გამოცდებისათვის გაცემული უწყისების სამდივნოში დროულად დაბრუნება;
- პასუხისმგებელია საგამოცდო უწყისების შენახვაზე.

## მუხლი 5. დასკვნითი დებულებანი

1. ცენტრი ყოველწლიურად წარუდგენს საქმიანობის შესახებ ანგარიშს უნივერსიტეტის რექტორს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, აკადემიურ საბჭოს, წარმომადგენლობით საბჭოსა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს;
2. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით;
3. ცენტრის ფუნქციონირების შეწყვეტაზე გადაწყვეტილებას იღებს უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო;
4. დებულება ძალაშია დამტკიცებისთანავე.

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი



/მ. ღარიბაშვილი/